# ბახტრიონი

ფასი 10.000 მ.

რედაქციის მისამართი: პუშკინის პასსაჟი ტელეფ. 8—04

განცხადების ფასი: სტრიქ. 20.000.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 15 ორშაბათი 16 ოქტომბერი № 15


## ხელოვნების სასახლე.

ქართველ არტისტებსა და მწერლებისთვის დიდი ხნის აუსრულებელი ოცნება იყო, ჰქონოდათ თავიანთი სახლი, სადაც მათ შესძლებოდად ერთმანეთთან ურთიერთობა და საერთო საქმით დაინტერესება. თითქმის ყველა კულტურულ ქვეყნებში არის ასეთი სახლები და კლუბები და მეტია ლაპარაკი იმაზე რომ ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თვითეულ ერის ხელოვნების აღორძინებაში. ჩვენ საქართველოს წარსულშიც კი გვხდება ასეთი ფაქტი. მეფე დავით აღმაშენებელმა ტფილისში აგო პოეტებისთვის სასახლე სადაც ქართულ პოეტებს გარდა თავს იყრიდენ მგოსნები მთელი აზიიდან, ამ სახლს პოეზიის აკადემიის ხასიათი ჰქონდა. ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული ამ აკადემიის როლი, არც მისი ორგანიზაცია რამდენი ხანი გასძლო, მაგრამ უეჭველია ჩვენ ეროვნულ სიამაყეს სამუდამოთ დარჩება ეს ფაქტი წარსულში, მაჩვენებელად იმისა, თუ როგორ იყო მაშინ დაფასებული ხელოვნება საქართველოში... ამ ამბების შემდეგ ბევრ მონგოლებს და მის მონათესავე ერების ურდოებს აუოხრებიათ საქართველო ჩვენ დღემდე, მაგრამ ყოველთვის დიდია გამძლეობა კულტურულ ტრადიციის. და დიდხანს იყო ქართველ ხელოვანთა შორის აზრი ასეთ სახლის ორგანიზაციის.

ამ შემთხვევაშიც თითქო ბედმა გაღიმა ქართულ ხელოვნებას, ასეთი სახ. მოინახა სერგიევის ქუჩაზე, რომელიც აუშენებია ცნობილ მეცენატს და განათლებულ ქართველ მოღვაწეს, რომელსაც ბოლომდე ჰქონდა მეგობრობა ილია ჭავჭავაძესთან და უცხოელ მეცნიერებთან ბ-ნ დავით სარაჯიშვილს.

განსვენებულის ანდერძით ეს სახლი უნდა დარჩენოდა ქართველ მწერლებს, მაგრამ მოხდა ისე, რომ მემკვიდრეებმა მისი ანდერძი დაარღვიეს (ამაზე თავის დროზე დავა იყო პრესაშიც) მაგრამ აქაც ბედით ეს სახლი შეიძინა ბ. ა. ხოშტარიამ და სწორედ იმავე მიზნით, რომ დაეტოვებია ქართველ ხელოვნებისთვის, ამიტომ რევოლიუციონურ კომიტეტის დეკრეტი, რომ ამ სახლში მოწყობილიყო ხელოვნების სასახლე, გამაგრებულია ყოველ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნების სასახლის ორგანიზაცია ძალიან მკვიდრ ნიადაგზე სდგას. ეხლა საქმეა მხოლოდ იმაზე, რომ სასახლე მართლა დაემსგავსოს სასახლეს.

მორალურად ეს თითქმის ასეა, რადაც ერთი წლის განმავლობაში ეს სახლი შეიქნა ხელოვნების ციტადელათ: აქ მოთავსებულია: მთავარი კომიტეტი ხელოვანთა კავშირის, ახალი და ძველი მწერალთა კავშირები, აგრეთვე კავშირების საბჭოები: მუსიკოსების, მხატვრების და არტისტების, აქვე მოთავსებულია ყველა რედაქციები ჟურნალების და გაზეთების· რომელთაც დღეს სცემენ მწერლები თავის ინიციატივით, აქვეა მოთავსებული „აკადემია პოეზიის“ პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია:, ამ ცოტახნის განმავლობაში ერთმეორეზე აქ წაკითხულა ასზე მეტი მოხსენება, რომელთაც ჰქონდათ დიდი ისტორიული მნიშვნელობა, ამ სასახლეში ჩატარდა რუსთაველის თვე და წაკითხულ იქნენ მოხსენებები: პროფ. ი. ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვას, პროფ. ჩუბინაშვილის და ბევრ სხვათა. აქვე იმართებოდა კამერული საღამოები. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ შინაგანი მუშაობაა. სასახლესთვის კი საჭიროა, რომ იქ უფრო დიდი ინტესივობით მოეწყოს წიგნის გამოცემა, რომ იქ შეიქნეს ცენტრალური სამხატვრო ბიბლიოკტეკა, სადაც იქნებიან ახალი წიგნები ყველა ენებზე იაპონიურზედაც კი, აგრეთვე იქ უნდა შეიქნას გალერეია მხატვრული და ბევრი კიდევ რომელსაც აქ არ უნდა ჩამოთვლა. ყველაფერს ამას სჭირია სახსარი და შეუძლებელია ამ საქმის მოგვარება კერძო ინიციატივით, თუ ამას სახელმწიფო არ დაეხმარა საგრძნობი ძალით.

დღეს ტფილისში ნეპის ნიადგზე სდგებიან აქციონერული საზოგადოებანი მილიარდიანი თანხებით, როგორც ამას გაზეთები გვამცნობენ და სირცხვილია რომ ტფილისში ქართული ხელოვნება ასეთ თავისთავის ამარა იყოს დარჩენილი, სხვა არ იყოს რა ეს თავმოყვარეობის საკითხია არა მარტო ხელოვანთათვის, არამედ იმ მთავრობებისაც რომელნიც იყვენ, არიან და ან შემდეგში იქნებიან.

როგორც ჩვენ გადმოგვცემენ იმ წრეებიდან, რომელნიც დაახელოვნებული არიან ხელოვნების სასახლესთან ჯერ იქ საგრძნობი დახმარება, რომელზედაც ღირდეს წერა არ ყოფილა, ჩვენ გვგონია, რომ ქართველი ხელოვანი აიმაღლებენ ხმას და მოითხოვენ საქართველოში თავის უფლების და ისტორიულ როლის დაფასებას და ამ შემთხვევაში საზოგადოებაც დაეხმარებათ მით იმაში, რომ მკვიდრ ნიადაგზე დასდგეს ის საქმე ჩვენ საუკუნეში, რომელსაც დავით აღმაშენებელი დროსაც კი ჰქონია ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

ყარამ გაგელი.

## დონკიხოტის ნათესავები

1.

ხანდრო ბოლაძე.

მე ვესტუმრე იმერეთში პეტრე კოლიანს, რომელიც დიდი სტუმრიანობით იხდიდა თავის დღეობას. სტუმრების მოლოდინში მოსულები ვისხედით აივანზე და ეზოდან გზას გავყურებდით. მალე ისინიც მოვიდნენ, ზოგი ცხენით, ზოგი ქვეითად, მაგრამ ყველა ნელა, ღირსებით, რადგან ზრდილმა სტუმარმა არ უნდა აჩვენოს, რომ ის ძალიან ჩქარობს სხვისა სადილზე.

ცხენოსნები მარჯვედ ჩამოხტნენ ცხენებიდან და მერე თავაწევით, ზომიერი ნაბიჯებით ეშურებოდნენ აივანს, სადაც მათი მასპინძელი მხიარული სიტყვებით ეგებებოდა. მისალმების მერე ისინი ღიმილით სხდებოდენ ტახტზე და ჩურჩულით როგორც ჩვენ, უყურებდენ ახლად მოსულებს.

ერთი უკანასკნელად მოსულთაგანი იყო სანდრო ბოლაძე თავამართული, დიდი გრაციით იჯდა ის თავის რაშზედ; ცხენიდან ჩამოსვლისას აღვირი მხლებელს გადასცა და თითონ აივანისკენ წამოვიდა. ის იყო მაღალი ტანის ახოვანი, ზრდილი, და მასპინძელს დიდის მოკრძალებითა და დარბაისლობით მიესალმა. ყველა სტუმრებში ის ირჩეოდა შვენიერი მანერებით და უფრო შვენიერი ტანისამოსით. რამდენიმე სიტყვით მან უკვე მოიპოვა ჩემში სიმპატია და მე მოხარული ვიყავი, რომ სუფრაზე მეზობელი მყავნდა.

„ჩემი მამული აქედანვე იწყობა და ადის მთებამდე, რომელთაც ამ აივნიდან ხედავთ“ დაიწყო მან ჩემთან საუბარი. „ყველა მამულზე დიდია ჩემი მამული და ჩემი საძოვარი იალაღები კიდე მთებს უკანაა“.

—აი ნამდვილი დიდებული! გავიფიქრე მე დიალაც ნამდვილი არისტოკრატია, ყველაფერში ეტყობა, რომ მდიდარია და დიდებული!

მერე რანაირად ლაპარაკობდა, რა დარბაისლობით და ზრდილობით. ამასთან მას ხშირად უყვარდა თავისი თეთრი ხელების ჩვენება მას არ უთქვამს არც ერთი მაღალი ან ტლანქი სიტყვა. მისი ფრაზები და აზრები პირდაპირ არტისტიული იყო.

—როგორ მოგწონთ ეს ღვინო? შემეკითხა ის.

—მშვენიერია.

—ჰო კარგია, მაგრამ ჩემი ვენახიდან უფრო კაი ხარისხის ღვინოები გამოდის, შენიშნა ბოლაძემ—„თუ ხვალ გეწვევით, მე გაგიმასპინძლდებით საუკეთესო ღვინოებით.

როცა ალუბალი მოიტანეს, ბოლაძემ შეაქო და სთქვა: „ეს ძალიან გემრიელი ალუბალია. ჩემს ბაღში ბევრი მიდგა ამნაირი ჯიშის ალუბალი. საერთოდ, ჩემს ბაღებში მრავალი ხეხილია მაგრამ უფრო ატამი სჭარბობს. ეს ხეხილი მამაჩემმა ჩაყარა. ის იყო კარგი მეურნე მაგრამ კარგი არხიტექტორიც იყო. მან დამიტოვა საუკეთესო სახლი, რომელითაც მე შემიძლიან ვიამაყო. მასში ოცი ოთახია ხოლო სასადილოში ასზე მეტი სტუმარი დაეტევა. ჩემი გვარი ყოველთვის განთქმული იყო მაზრაში და ღვთის შეწევით ეს საპატიო ადგილი დიდხანს კიდევ ეჭირება. სხვა სტუმრები საკმაოდ გულგრილად უცქეროდენ ბოლაძეს მაგრამ მაინც პატივით ეპყრობოდენ, ამას სრულიად სამართლიანად იმსახურებდა ბოლაძის ზრდილობა და დარბაისლობა.

საღამოზე ბოლაძე გაემგზავრა სახლში და ჩემი შიპატიჟება აღარ გაუმეორია. მისი ცხენი ეხლა საკმაო დაჩაჩანაკებული მეჩვენა ხოლო მისი მსახური ძალიან დაგლეჯილ ტანისამოსში.

„მართლა წარმოსადეგი ბატონია ბოლაძე?“ ვკითხე პეტრე კოლიანს.

—„დიახ, ის ნამდვილი და დიდი ბატონია“.

—მაგრამ ეს დიდი ბატონი უკვე დაღარიბდა,მომიგო კოლიანმა. მისი მამული რამოდენიმეჯერ იყო დაგირავებული, დიდი ნაწილი კი უკვე გაყიდულია, აი ეს ოდესღაც მდიდარი ბაღები, ეს ვენახები, ყანები, ტყეები და საძოვარი ადგილები, რომლებიც კიდევ დარჩა მის განკარგულებაში მალე საჯარო ვაჭრობით გაიყიდება.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მას ხშირად სადილიც კი არ აქვს. ყოველთვის როცა კი მოვა ჩემთან კარგათ გაუმასპინძლდები ხოლმე, ვინაიდან მე ძლიერ მიყვარს მისი საზოგადოება ახალგაზრდობაში ის იყო მფლანგავი და დიდი ბატონის როლს თამაშობდა. ახლა კი, როცა უკვე არაფერი არ აქვს, მაინც განაგრძობს თავის როლის თამაშს“.

სამი დღის შემდეგ ბოლაძემ სადილად მიმიწვია. მე წაველი. მისი დიდი სახლი, რომელიც დიდ მაგრამ სრულიად მოუვლელ ბაღით იყო შემოვლებული გარს, შორიდან სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენდა, მაგრამ როცა ეზოში და ბაღში დავინახე კვალი დაცემის და განიავების, პირველი სასიამოვნო შთაბეჭდილება გაჰქრა.

ბაღის კედლები ბევრ ადგილას სრულიად დანგრეულიყო, ჭიშკარი დამტვრეულიყო, თვით ბაღი ყვავილების მაგივრად ბალახით იყო დაფარული, ბუჩქები დამჭკნარიყო.

სახლში კი, ზოგიერთ ფანჯარას აღარ ქონდა მინები ზოგს ჩამტვრეოდა იგი და ეზოდან ემჩნეოდა, რომ ზოგიერთი ოთახი სრულიად დაცარიელებულიყო.

ბოლაძემ მიმიღო მეტი თავაზიანობით და ასეთივე მორიდებით გამაცნო თავისი მეუღლე. ლამაზი და მოყვანილი ქალი, რომელსაც დარცხვენა დაეტყო რაც მე ოთახის მორთულობას მივაწერე, ვინაიდან სასტუმრო ოთახის ავეჯეულობა უკვე საკმაოდ მოძველებულიყო, თუმცა ზოგიერთი ნივთები კიდევ ამჟღავნებდენ ყოფილ სიდიადეს. თვით ბოლაძე იყო მხიარული და კმაყოფილი. ლაპარაკობდა თავის ვენახებზე და ხეხილის ბაღებზე, თავის ყანებზე, ტყეებზე, ცხენებზე, ძროხებზე, ხარებზე, კამეჩზე და მთებში გარეკილ ცხვრის ფარებზე.

„ეს ჩემი ღარიბი მეზობლებია, საწყლები, რომლებსაც ყოველთვის ვიწვევ ხოლმე, როცა კი სტუმრები მყავს. ასეთი მზრუნველობა ჩვენი გვარისთვის ტრადიციულია, და მეც წმინდათ და კეთილსინდისიერათ ვასრულებ ჩემი წინაპრების ჩვეულებას, ვინაიდან ქველმოქმედება მდიდრების ვალდებულებაა.

სუფრა გააწყო ვიღაც სასიამოვნო შეხედულობის მოხუცმა კაცმა მოიტანეს საუცხოვო საჭმელები და ძნელი იყო სიღარიბის შემჩნევა.

ოთხი მეზობელი გულმოდგინეთ სვამდა და ჭამდა, მაგრამ თითქმის არაფერს არ ამბობდენ და ისადილეს თუ [illegible] უთხრა მათ ბოლაძემ წასვლისას, „ჩემი სახლის კარები თქვენთვის ყოველთვის ღიაა და ჩემ სუფრაზე ყოველთვის არის ადგილი“.

ამ სიტყვებს ლაპარაკობდა ზრდილობით, თავაზიანათ.

როცა დავბრუნდი სახლში ჩემი შთაბეჭდილება გაუზიარე პეტრეს მან მიპასუხა:

„დიახ, ბოლაძე და მისი მეუღლე კარგი ხალხია, მაგრამ მაშინ, როცა ქალი დიდათ იტანჯება სიღარიბით და არ ცდილობს მის დამალვას, კაცს არ უნდა მიანებოს დიდი ბატონის როლის თამაში. მის დიდ სახლში მხოლოდ სამი ოთახი არის მორთული ავეჯით. დანარჩენებში სიცარიელეა და ობი და თაგვები ბატონობენ იქ.

მოხუცი რომელსაც მოჰქონდა სადილი სუფრაზე არის არა მოსამსახურე, არამედ ღარიბი მეზობელი რომელიც თავის შრომაში არაფერს არ იღებს, გარდა სადილზე მონარჩენ საჭმელისა. უეჭველად ეს სადილი დიდი ხნით წაართმევდა მას შესაძლებლობას გაიკეთოს უბრალო სადილი, ვინაიდან მას თითქმის არაფერი აღარ დარჩენია, აღარც ძროხა, აღარც ღორი, არც ერთი ცხვარი, არც ქათამი და ფქვილიც კი აღარ აქვს. ყანების და ვენახების ნაყოფს იღებს არა ის, არამედ მისი მოვალეები.

ამის გაგონებისას მე ძლიერ შევწუხდი, რომ დავთანხმდი და წაველი წვეულობაზე და ასეთი ხარჯები მივაყენე, მაგრამ პეტრემ დამამშვიდა და მითხრა რომ ასეთი პატივმოყვარეობა ვერ აცდება ხარჯებსო.

არტურ ლეისტი.

## სუმბათაშვილის იუბილე

მოსკოვის გაზეთი „იზვესტია“ სწერს ა. სუმბათაშვილის იუბილეზე.

ორშაბათს, სექტემბრის 20-ს მოსკოვის დიდ თეატრში შესდგა საზეიმო წარმოდგენა ალ. სუმბათაშვილის 40 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად. თეატრი სავსე იყო განსაკუთრებულ ხალხით. დირექციის ლოჟაში იყვნენ: სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. რიკოვი, გარეშე საქმ. სახალხო კომისარის მოადგილე ლ. მ. კარახანი, განათლების კომისარის მოადგილე პროფ. მ. ნ. პოკროვსკი და აკადემიურ თეატრების გამგე ე. კ. მალინოვსკის ქალი. ლოჟები და კრესლოები ეჭირათ უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათა წარმოადგენელთ, უმაღლეს სასწავლებელთა, მოსკოვის ყველა თეატრების და ბევრი პეტროგრადის თეატრებისაც წარმომადგენელნი.

მიდიოდა შექსპირის ტრაგედია „ოტელო“, რომლის მთავარ როლს ასრულებდა თვით იუბილიარი.

12 ს. დაიწყო იუბილიარის მილოცვები. 60-ზე მეტი დეპუტაცია, რომლის შემადგენლობა აღემატებოდა 500 კაცს მოთავსებული იყო სცენაზედ.

ავანსცენაზედ იდგა თავმჯდომარის მაგიდა და ირგვლივ შემოსხდომოდა საიუბილეო კომიტეტი სახალხო არტისტის ვ. ნ. დავიდოვის მეთაურობით. პირველად ესალმება განათლების კომისარიატის დეპუტაცია: პროფ პოკროვსკი და ლიტერატურის ისტორიკოსი მ. ო. გერშენზონი.

პოკროვსკი კითხულობს დეკრეტს, რომლითაც ალ. იუჟინს ებოძა სახალხო არტისტის წოდება და გადასცემს პერგამენტს, რომელზედაც დაბეჭდილია ეს დეკრეტი. მთელი ზალა ტაშს უკრავს.

პოკროვსკი მიმართავს იუბილიარს და ეუბნება, რომ დიდ სახელთა პლეადაში, რომელთაც ებოძა წოდება სახალხო არტისტისა—როგორიც არიან ერმოლოვისა, დავიდოვი და შალიაპინი—დღეიდან იბრწყინებს ახალი ვარსკვლავი ისევე პირველი სიდიდისა, მაგრამ მისი სხივები იქნები მრავალფეროვანი, ვინაიდან ნიჭი იუჟინისა მეტად სხვა და სხვა მხრივია.

მთავრობა დიდად აფასებს იუჟინის დამსახურებას, რომელმაც რევოლიუციის პირველსავე მომენტში გამოიჩინა სიმტკიცე და თავის ადგილზედ დარჩა. განსაკუთრებულ დამსახურებად სთვლის მთავრობა ამ სიმამაცეს და პატივსა სცემს მას, როგორც არტისტს და მოქალაქეს. ამ სიტყვებს ჰფარავს ტაშის გრიალი.

მოსკოვის საბჭოს სახელით ადრესს კითხულობს ამხ რაფაილი და აღნიშნავს, რომ ალ. იუჟინმა მკვიდრი საფუძველები ჩაუყარა ახალ ხელოვნებასო.

აკადემიურ თეატრების დელეგაცია ნ. ლ. ლაზარენკოს მეთაურობით მიართვევს იუბილიარს ძვირფას საჩუქარს და აღნიშნავს სუმბათაშვილის მამაცობას, როცა ის, რევოლიუციის დასაწყისში, იყო პირველი კომისარი თავისუფალი რუსული თეატრისა.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამგეობის მისალმების შემდეგ, გამოდის დეპუტაცია პატარა თეატრისა იაბლოჩკინის ქალის მეთაურობით. თავის ადრესში პატარა თეატრი უწოდებს მას თავის ბელადს, რომელმაც იტვირთა ამ თეატრის საქმე, მუდამ იბრძოდა თეატრისათვის და ხალხის ბედნიერებისათვის.

დეპუტაციამ მიართვა დიპლომი არტისტისა და აგრეთვე ჟეტონი ძველი არტისტებისაგან (ფედოტოვისა, ერმოლოვისა და ნიკულინისა).

შემდეგ იყო მილოცვები სტუდიისაგან, სკოლისაგან, ბიბლიოთეკისაგან, და სხვა დაწესებულებათაგან პატარა თეატრისა. სტუდიელები ყვავილებით ჰფარავენ იუბილიარს, ორკესტრი ასრულებს ტუშს.

შემდეგ მთელ რიგ დეპუტაციებისა არტისტებისაგან, ბალეტისაგან, დიდი თეატრისაგან, ე. გელცერი ესალმება იუბილიარს „მომხიბლველ საქართველოს“ ცეკვის შესრულებით და ლეკურის დასასრულს ყვავილებს აფრქვევს და მის ფეხებთან იხრება.

შემდეგ იწყება დაუსრულებელი ადრესები მეცნიერებათა აკადემიისაგან, მოსკოვის უნივერსიტეტისაგან, რუსულ სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოებისაგან, რუსეთის სამხატვრო აკადემიისაგან, აკადემიურ თეატრების მმართველობისაგან და სხვა.

ალექსანდრეს თეატრის არტისტთა დეპუტაცია—დავიდოვი, იურევი და პოტოცკისა, ესალმება იუჟინს, როგორც მფარველს შჩეპკინის სახლისა და გადას-

ცემს ალექსანდრეს თეატრის საპატიო არტისტის წოდებას მისი სახლეს ყველა საშტატო სიებში შეტანით.

იურიევი ჰკითხულობს ტრუპის დადგენილებას, რომ ჩამოიკიდოს ალექს. თეატრის ფოიეში იუჟინის პოტრეტი, გადასდოს მის განკარგულებაში წარმოდგენის შემოსავალი, სთხოვოს მა'ს გადასცეს ერმოლოვის ქალს წოდება ალექ. თეატრის საპატიო არტისტისა, და აგრეთვე სთხოვოს დასდგას ერთ-ერთი მისი პიესა, როდესაც ეს მისთვის სასურველი იქნება. ნემიროვიჩ—დანჩენკო ესალმება იუბილიარს სამხატვრო თეატრის სხვა და სხვა დაწესებულებათაგან, რომლის ადრესებს აღარ კითხულობენ სიგვიანის გამო. სამხატვრო თეატრმაც აირჩია ის საპატიო წევრად.

შემდეგ გაგრძელდა მილოცვები კორშის თეატრისაგან, მწერალთა კავშირისაგან, სტუდიებისაგან, თეატრისაგან, სამხატვრო დაწესებულებათაგან. არ დარჩენილა მოსკოვში არც ერთი დაწესებულება, რომ დეპუტაცია და საჩუქარი არ გამოეგზავნა.

დილის სამი საათისათვის სრულდება მისალმებანი და ალ. იუჟინი უახლოვდება რამპას საბოლოო სიტყვის სათქმელად. დამსწრე საზოგადოება ფეხზედ დგება. იუბილიარი ღრმა მადლობას უხდის ყველას და აცხადებს, რომ ყოველივე ამას ის იღებს როგორც ავანსს, რომელიც მან უნდა გაასწოროს შემდეგში თავისი მოღვაწეობით.

ტაშის გრიალში ეშვება ფარდა, მაგრამ სცენაზედ მყოფი დეპუტაციები კიდევ განაგრძობენ მისალმებებს.

# კ. მარჯანიშვილი

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება რეჟისორი კ. მარჯანიშვილი.

მარჯანიშვილის მოღვაწეობას სცენაზე დიდი ისტორია აქვს. რეჟისორმა ბევრი გზები გაიარა. ყოველი მისი ხაზი იყო დიდი ეტაპი ევოლიუციის და ახალი გადასვლის. მარჯანაშვილმა ბევრი რამ დაჰგმო რასაც წინად აღმერთებდა და თავის მცნებად აღიარებდა.

იყო მომენტები მძიმე. გარდატეხა სულის და თავდავიწყება.

იგი იყო ერთ დროს მოსკოვის სამხატვრო თეატრის უმთავრესი რეჟისორი. სტანისლავსკი დაავიწყდათ და ლაპარაკობდნენ-მარჯანიშვილზე. აქ მარჯანიშვილმა მოსკოვის სამხატრო თეატრს მისცა უკანასკნელი შესაძლებლობა ნატურალისტურ ხელოვნების, იყო დიდი მიხწევა, მაგრამ როგორც დიდ ხელოვანს სჩვევია, მარჯანიშვილი მალე გაუდგა განზე სამხატვრო თეატრს. დაარსა საკუთარი თეატრი და მარჯანიშვილმა აქ პოვა ახალი სახე სასცენო ხელოვნების. აქ იყო ახალი ძიება მომავალ თეატრის.

დღეს მარჯანიშვილს ვხედავთ ტფილისში. იგი მოვიდა აქ ახალ იარაღით შეჭურვილი. ტფილისის თეატრალებს ეხსომებათ მისი გრანდიოზიული დადგმა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ მარჯანიშვილი ამ დროს ანდრეი ბელის და ვიაჩესლავ ივანოვის ლოზუნგების გავლენის ქვეშ იყო. ეს ლოზუნგები კი ახმაურებული იყო რეინჰარტის გამოსვლით და სანდრო მოისის პლასტიური ღელვით.

რეინჰარტმა სცადა აღდგენა ანტიური თიატრის ვიაჩელოვ ივანოვი და ანდრეი ბელი — მოუწოდებდენ ანტიურ თეატრის პათოსისკენ. ვალერი ბრუსოვი კი გადაჭრით ამბობდა: „От ненужной правды современной сцены я зову к сознательной условности античнаго театра“ და ყუმბარა გადავარდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის კედლებში. სტანისლავსკიმ ბევრი დუელში გამოიწვია, მაგრამ ვერა გააწყორა. დღეს „მადამ ანგოთი“ ირთობს თავს. დღეს მოსკოვის სამხატვრო თეატრი გაყინულია ერთ წერტილზე. მოკვდა ნატურალისტური ხელოვნება და მოსკოვის სამხატვრო თეატრიც კატასტროფის წინ სდგას.

მარჯანიშვილმა დიდი ხანია თავი დაახწია ამ თეატრს და დღეს იგი ჩვენ შორის არის და აწყობს ახალ გეგმებს.

„მე დავრჩები აქ მაისამდის, მითხრა მარჯანიშვილმა, ვიმუშავებ რუსულ დასში, მაგრამ ქართულ დრამაშიაც დავსდგამ ჯერ ჯერობით ორ პიესას: ლოპე დე ვეგას „მცხვრის წყაროს“ და მოლიერის „მდაბიო მოქალაქიდან-გააზნაურებული“ მაგრამ ჩემი მუშაობა უპირველესად უნდა გამოიხატოს რამდენიმე პანტომიმის მომზადებაში. მაისის გასულს ამ პანტომიმებით სავასტროლოდ წავალ ევროპაში“.

მარჯანიშვილის ახალი გზები, ახალი მიხწევანი უნდა ვეძიოთ ამ პანტომიმებში. რეჟისორი ძიებაშია და რაც დრო გადის იგი თან და თან უახლოვდება დიდ რიტუალს ხელოვნებაში.

მე გადაჭრით ვერ ვიტყვი მარჯანიშვილი ემსახურება ვიწროდ დრამატიულ ხელოვნებას თუ საერთოდ წმინდა ხელოვნებას. მაგრამ უფრო ვფიქრობ რომ მარჯანიშვილი აერთებს დრამატიულ ხელოვნებას და სხვა ხელოვნების დარგს და ერთს სინტეზს ჰქმნის. ჯერ უპირველისად მუსიკა და დრამა განუყრელია და ურთმანეთოდ წარმოუდგენელი. მუსიკას აქვს თავისი რიტმი და დრამის თავისი პლასტიკა. რიტმი და პლასტიკა შეერთება მთლიანი. უმთავრესი ამ ხელოვნების დარგში რისტმია პირველი, როგორც ტაკტი გიმნატიურ მოძრაობაში და მათემათიკური ხაზები—გეომეტრიაში.

ძველი საბერძნეთის თეატრი რიტმიულ სიცხარეზე იყო აშენებული და მთელი მისი ბუნებრივი პათოსი რიტმზე იყო დამყარებული. ამის მოწამეა ის დითირამბები, რომელიც გახმიანებულია მუსიკალური ენერგიით.

პანტომიმამ უდიდესი განვითარება ნახა ისევ საბერძნეთში. და ეს არც გასაკვირველია. ბერძნების ბუნება, ცხელი მზით გახურებული ტემპერამენტი და ძველი ნაშთების, ქანდაკებების იდუმალი მზერა შეჰქმნიდა და გაანვითარებდა პანტომიმას. პანტომიმა ჯერ-ჯერობით უკანასკნელი სიტყვაა დრამატიულ ხელოვნებაში, მხოლოდ ძველი რიტუალური განმეორებით.

მარჯანიშვილი როგორც დიდი ხელოვანი უკვე გრძნობს, რომ ახალი გადახალისება და ახალი წარმოშობა თეატრის უნდა დაიწყოს მიმიურ ხელოვნებიდან. იმიტომ რომ აქ არის მეტი მოძრაობა სახის და მთელი სხეულის ნაკვთების. აქ არის მუსიკა და ცეკვა, ათამაშება მონუმენტალური ფიგურების,

ახალმა გმირულმა ხანამ უნდა შვას გმირული სულის თეატრი და იგი ვერ ასცდება ისევ საბერძნეთის თეატრის პრინციპებს. დიონისის კულტი სარჩულად დაედება ახალ თეატრს სამუდამოდ და თეატრშიც დაბრუნდება ისევ ცხელი ტემპერამენტი, ბუნებრივი პათასი და ექსტატიური შესრულება.

მარჯანიშვილს გათვალისწინებული აქვს ეს ყოველივე და მისნური თვალით სჭვრეტს მომავალს.

დღევანდელი თეატრი კი თავის ატრიბუტებით ჩაბარდება ისტორიას.

მარჯანიშვილი ევროპიულად მოაზროვნე კაცია და მისი შრომაც ევროპიული მაშტაბით დაფასდება.

როდესაც ტბილისში მარჯანიშვილმა დასდგა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ მაშინ პრესსამ ერთხმად აღნიშნა რეჟისორის დიდი ნიჭი და მისი, „დადგმა“ დიდი მოვლენა იყო ტფილისის საზოგადოებისთვის. მარჯანიშვილს ერთი ნაკლი ჰქონდა რომ თან არ ჰყვანდა ედიპეს შემსრულებელი გასაკვირველი პლასტიური მსახიობი სანდრო მოისი. აქაური შემსრულებელი მსახიობი მურომცევი კი სრულიად დასჩრდილა იეროგლიფებმა და მონუმენტალურ კოლონებმა.

მარჯანიშვილი ერთ წერტილზე არ გაჩერებულა და „ოიდიპოს მეფეს“ დადგის შემდეგ დასდგა მრავალი პიესა და ყოველ პიესის დადგმაში ახალ გზას იკვლევდა. დღეს მარჯანიშვილი არღვევს ძველ თეატრის კედლებს და დიამეტრალურად მოწინააღმდეგეა ძველი ღმერთის-მოსკოვის სამხატვრო თეატრის.

მარჯანიშვილს აქვს ნერვიული შეგზნება თეატრის დინამიკის. მან იცის მისი ტეხნიკა. იცის ამეტყველება კომპოზიციის და ექსპრესიით გადმოცემა თავისი შემოქმედების.

მე მჯერა მარჯანიშვილი...

მჯერა-თეატრი ახალი ეპოქის წინა სდგას.

ვახტანგ გარრიკი

# და-ძმა მეუნარგიები.

სტრიქონები ტრაურის.

წარსულ საუკუნის ერთ დავიწყებულ და გამორჩენილ მწერლად უნდა ჩაითვალოს იონა მეუნარგია. სხვა მისი ნიჭის და სტილის პატრონი მწერალი ამ დროს შესაძლებელია არც კი ჰყოლოდეს. მისი დაწერილი ბიოგრაფიები. გრიგოლ ორბელიანის, მამია გურიელის და სხვების ნამდვილი შედევრია არა მარტო ბიოგრაფიების წერის, არამედ მხატვრული კრიტიკისაც. ფრანგული მანერა წერის, იშვიათი გემოვნება და მწერლობის ცოდნა მას აყენებდა პირველ რიგში იმ მწერლებში, რომელნიც დღემდე განაგრძობენ მწერლობაში სემენარიული „კატეგორიებით“ წერას. მაგრამ ეს სხვა დროს და სხვა ადგილას იქნება აღნიშნული, ბოლოს ქართული მწერლობა არც ისე მდიდარია, რომ აღმოუჩენელი და დაუფასებელი დარჩეს ასეთი შედარებით დიდი მწერალი.

იონა მეუნარგია ამ სამი წლის წინად მოკვდა, მაგრამ ბედმა მის სიკვდილსაც დასცინა (მის საფლავთან ჩაეყარა საფუძველი იმ სამარცხვინო მოვლენას ქართულ მწერლობისა და ჟროვნებისთვის რომელსაც ჰქვია „მაფალუ“ და რომელიც სამწუხაროთ, მგონი უფრო პასუხის მგებელ ადგილებზეც იჩენს თავის ნაყოფს. ჩვენ დროშიაც რაც თავის თავად ცხადია ჩრდილს აყენებს პატრიოტიზმს.

განსვენებული იონა მეუნარგია, შეიძლება ყველაზე უფრო გულწრფელი მწერალი იყოს თავის პროვინციიდან, და მისი ფრანგული ტემპერამენტი ძირიანათ უარყოფს კლევრეტების ახალ იდეოლოგიას.

ბედმა კიდევ უფრო დატანჯა მისი ოჯახი. წელს თითქმის ერთ და იგივე დროს სიცოცხლეს გამოესალმენ მისი ახალგაზრდა-თითქმის ბავშები-ქალ ვაჟი: ლილი და მიშა მეუნარგიები.

განსვენებული ლილი მეუნარგია აღზრდილი განათლებულ ოჯახში, თავიდანვე დაინტერესებული იყო მწერლობით და იმ თავითვე პირველი მიეკედლა ახალ პოეზიას და იჩენდა თვალსაჩინო ნიჭსაც.

მას ტრადიციამ ვერ დაუშალა აცდენოდა ბანალურ გზას პოეზიაში და თავის ინსტიკტით იკვლევდა გზას ახალ ძიებისკენ. პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა დაბეჭდა თავის ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ მისი პირველი ლექსი “ინფანტა“ რომელიც უკვე ატარებდა შედარებით მიღწევას, განსვენებულს აგრეთვე დარჩა კიდევ ახალი ლექსები, რომელნიც სხვა და სხვა დროს წაუკითხავს პოეტებში; ამ ხელნაწერების კვალიც კი არ სჩანს. იყო ძალიან მგძნობიარე ამ პატარა ბავშის დაკარგვა პოეზიისათვის, რომელიც ასე უდროვოთ დაიღუპა ტუბერკულიოზით. პოეზია გამოიტირებს ამ ლაფორგის „აგვისტოს პატარა უბედურებას“ მისი ძმა მიშა მეუნარგია აგრეთვე სავსე იყო გატაცებით და პატრიოტიზმით მას თავიდანვე ეჩნეოდა ცოდნის წყურვილი და პირველი ძიება ნაცნობების გადმოცემით ის ერთი საიმედოთაგანი იყო ახალგაზდა უნივერსიტეტში, რომელიც ეხლა იყრის საფუძველს ეროვნულ ტრადიციისას. რამდენიმე დღის წინად ისიც ტრაგიულად დაიღუპა ბათომში: დაიხრჩო ზღვაში ბანაობის დროას. შესაძლებელია უკეთესია რომ მოხუცებული მამა ვერ მოესწრო ასეთ სიკვდილებს, რომ თავის საყვარელ ვიქტორ ჰიუგოსავით დაეტირა „პატარა ხომლები“, თავის ბავშვების საფლავების ცაისში. მაგრამ ამ ბავშვებით დაობლდა არა მარტო იონა მეუნარგიას ოჯახი, არამედ საქართველოც, რომელსაც, როგორც არასდროს სჭირდება პატიოსანი და ნიჭიერი ახალგაზრდობა.

ვ. გ—ელი

# ნიკო ფიროსმანი.

მასალები ბიოგრაფიისთვის

სოფელ სართაჭალაში ერთ მედუქნესთან ინახება ნიკო ფიროსმანიშვილის სურათი. ეს სურათი უნახავს და დუქნის პატრონთან ულაპარაკია ვასილ არჩუაძეს, რომელიც შემდეგ სწერს ჩვენ რედაქციას, მოგვყავს შემოკლებით:

„ნიკო ფიროსმანიშვილის ამ სურათზე დახატულია ექვსი კაცი, ორი თუშური ტანსაცმელებში გამოწყობილი, ჭიქით ღვინო სავსე ხელში; ოთხი ყარაჩოხულათ ჩაცმულები. წინ უდგათ ორი მაგიდა, ზედ ერთი ბოთლი ღვინო „ჭიქები და ყანწები“. მწვანე ბალახზე მოფანტული ცოცხალი ლოქო, თარი, ქილი, შიგ ცოცხალი თევზი, ცოცხალი რქა ორმა ირემი, მწვანე ბალახს სძოვს, შამფურებზე აგებული წითელი-და ქართული ბადრიჯანი, გარშემო სურათზე ყურძენი ჩამოკიდებული თეთრი და შავი, ახლოს პატარა ტბა, შიგ დასცურავს თეთრი ბატი. წარწერით მაგიდის სუფრაზე

„ძმებო დავლიოთ ღვინო“ “მოვიგონოთ კოხტა ნინო.“ ბოლოში სურათზე წარწერით „ანტონ ლეგი“ გვარი გაურკვეველია. ღმერთმა აცხონოს ნიკო ფიროსმანაშვილი აი ის იყო მხატვარიო ამბობს მედუქნე ნიკოს გაგონებაზე, ძალიან გამეხარდა, და მოვინდომე მისი ვინაობის გაგება, რადგან მე გაცნობილი ვიყავი „ბახტრიონი“ გაზეთის საშუალებით ფიროსმანის ბიოგრაფია, და ძალიან დამაინტერესა-

მედუქნე, სინკა ცაცკრიალაშვილი, 1892 წ. თბილისში ვცხოვრობდი გაღებული მქონდა „პივნოი“ სავაჭრო, ნიკო ფიროსმანიშვილს ვიცნობდი დაახლოვებით გაგონილი მქონდა რომ მხატვარი იყო, 50 წლ. იქნებოდა ნიკოს ხშირად ვხედავდი მირზოვის ტროტუარზე, ბინა არ ვიცოდი, ფეხებზე ეცვა დაგლეჯილი ქალმები, შარვალი ჩამოშვებული, ტანზე ეცვა ძველი მაუდის წამოსასხამი, თავზე ეხურა გაშლილი შლიაპა (ცილინდრი) თმა და წვერი გრძლათ ჩამოშვებული, პაპიროზს ეწეოდა ხშირად, ერთს რო მოსწევდა მეორეს უკიდებდა, სულ დაფიქრებული დადიოდა, კაცს არ გაუცინებდა რო ეტყოდენ, შეგიძლიან კარგი რამე დახატო? უპასუხებდა? მაღალ ხმით: შვილო მაშ რის ხელოსანი ვარ რომ ვერ გადაგხატოო, თქვენ ოჯახში რამდენი სულიც კი იქნებით სუყველას ერთად გადაგხატავთ, თუ თეთრი არაყი იქნებაო.

არაყი რო დაესხელებიათ მართლაც დაჯდებოდა, ერთს კი შეხედავდა ადამიანს; თითქოს თვალებსაც კი ხუჭავდა ნახატები კი სუფთათ გამოჰყავ-

# ხელოვნების წარსული და მომავალი.

1

ევროპის მე XIX საუკუნე უღელ-ტეხილია. ყველა სფერო ამ საუკუნეს მძლავრად შეირყა. დიდი ძვრა მოჰხდა გეოლოგიიდან თეოლოგიამდე. რღვევა და შექმნა პარალელებად დაეწყვნენ. კულტურის თითქოს ამაღლებამ და გაშლამ თვით-მოფიქრება მოითხოვა. განათლების საუკუნის კულტურის პრობლემა მეცხრამეტე საუკუნემ მძლავრ მოძრაობად აქცია. „საუნჯეთა ხელ-ახალი შეფასება“ დამტკიცდა როგორც ბრძანება.

მეცხრამეტე საუკუნის შესახებ საუბარი უკვე ჰგულისხმობს უღელ-ტეხილზე დგომას. ეს უკანასკნელი კი იქით და აქეთ მხარეთა საზღვრებშია შეჭრილი. მაშასადამე განვლილიც სჩანს და გასავლელიც. ვინც ავა ამ სიმაღლეზე, იგი ორივე მხარეს დაინახავს. ძველი ნაცნობია. მაგრამ მისი ჯამად ქცევა კი მეტად ძნელია თუმც მიმზიდველი. და უფრო ძნელია მთელი წარსულის თავმოყრა. მეცხრამეტე საუკუნეში „Fin de siecle‘-ზე“ ლაპარაკობდნენ. მე კი მთელი წარსულის შესახებ ვაპირობ სიტყვის თქმას. დროის უსაზღვრო ხაზს არ დასჭირდება დასერვა. ჩვენამდე და ჩვენს შემდეგ,—აი ის ორი შეუტოლებელი ქვეყნები, რომელნიც მე მაინტერესებენ. ხელოვნებას ვხმარობ.

თუ ისტორიას აქვს რაიმე აზრი, იგი შემოქმედებაში ჩნდება. შემოქმედების გარეშე ისტორია არ არსებობს ხელოვნება კი ამართული შემოქმედებაა თვით ფილოსოფიაც კი ამაღლების პროცესში ხელოვნებას უახლოვდება. ყველაზე დიდი ფილოსოფიური სისტემა ხელოვნებაში გადადის პარმენილ ჰერაკლიტე, პლატო, ავგუსტინე—ძველად; ლეიბნიცი, კანტი, ჰეგელი, შოპენჰაუერი, ნიცშე, ბერგსონი, ახლად. სხვაგვარად არც შეიძლება. ისტორია ბოლოს სეკუნდანტია ადამიანის და ბუნების შორის წარმოებულ დუელში.

ამ ბრძოლას ვერავინ უარყოფს. ძველი მითოლოგიაც ამას ამოწმებს. ბუნება ღმერთია, ჰარმონიას სიმბოლო. ადამიანი ბუნების პროტესტინტია, დისჰარმონიის აგენტი. იეღოვამ თუ ორმუზდმა პირველი ადამიანი ბუნებისაგან გამოჰკვეთეს. უცოდინარი ნეტარება მისცეს. „ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“ კი აუკრძალეს. ადამიანი ღმერთს ეურჩა, ე. ი. ბუნებას. მას აქეთ მოდის ადამიანისა და ბუნების გაყრა.

ბუნება თვით უავტორო შემოქმედებაა, ადამიანი კი ავტორი. ხოლო ადამიანის შემოქმედებათა შორის ყველაზე დიდი შემოქმედება—ხელოვნებაა, როგორც მის ყველა სულიერ საუნჯეთა შემკრებელი. ფილოსოფია—მხოლოდ აზროვნებაა, ყოველი დღე—განცდაა. რწმენა—ნებისყოფა. ხელოვნება კი აზროვნებაც არის, განცდაც, ნების-ყოფაც, და კიდევ ბევრი რამ, რაც ადამიანის ცნობიერების ფორმულათა გარეშე დარჩა. ისე რომ ჩემი მასშტაბი არამც თუ მისაღები, აუცილებელიც არის. ვნახოთ ძველი ხელოვნების სახე.

ველური ადამიანი მთლიანია. კონტრასტების გარეშე დგომა ახასიათებს მის ბუნებას. მოგვური ტეხნიკა და რელიგიური აფექტი ავსებს ველურის ბუნებას. ფანტაზიის თავისუფალი გაფრენა არ არსებობს.

ბუნებასთან ნაზიარებს უტყდება ეს მთლიანობა. პრე-ისტორიის დასასრული ამ გადატეხით ჰხდება. ისტორიის პირველი პერიოდი კი თავისუფლების და ინდივიდუალობის შეგნებით იწყება უსახელო ეპოპეიაში და მითოლოგიაში იჭრება ინდივიდუალურ ტიპების შექმნის ესთეტიური აზრი. აქილესი, ზევესი, ისტარი, აპოლონი... და სხვა... თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთეული გვარს გამოეყო. ბუნების არა-„მე“დ გამოცხადება ასე მალე ვერ გამოჰკვეთდა „მე“-ს. ინდივიდულობას კოლექტივი ჰფარავს, ანუ გვარი. ერთეული გვარის შეგნებით დადის. სამღვთო წესები, ექსტატიურ მოლხენა, სავალდებულო ჩვეულებანი,—გვარს ეკუთვნის. პიროვნება როკავს, ლოცულობს, სიტყვებს რიტმით არჩევს, და პიროვნული კი არსად სჩანს. კოლექტივის მთლიანი პსიხიკის ანარეკლია ყველაფერი. ხელოვნებაში უპიროვნობა მაინც ბრძანებლობს. ეპოპეია, ლირიკა, დრამა, გრაფიული და პლასტიური შემოქმედება—სულ უპიროვნონი არიან. ვედები, ბიბლია, ილიადა, ამ ტეზისს ამტკიცებენ.

ელლინური ქვეყანა დღესაც ამაყად გამოჰყურებს კაცობრიობის გზას. მაგრამ პრიმიტივობა მაინც სჩანს მის მწყობრ ფორმებში. მეტად სადა იყო მათ მიერ სიცოცხლის გაგება. უშუალო გრძნობიერებაში იკარგება პიროვნება. ელლინური აზროვნება არა დროს არ ჩამდგარა ბუნებასთან უკიდურეს კონფლიქტში. სულის სავნობა არ იცის მან. ბუნების გარეშე ვერ დგება იგი, და უკეთეს შემთხვევაში იღებს მას როგორც საბედისწერო მოვლენას. მან ბედი ვერ გადააქცია თავისუფლებად. მისმა გონებამ ვერ დაამარცხა გარეგანი აუცილებლობა. ელლინში ამის გამო ტანჯვაც არ დაბადებულა. მათ შემოქმედებაში ეს ტანჯვა არა სჩანს. მართალია, მილეთელს თალსს აწერენ გამოთქმას; „ყველაფერი სავსეა ღმერთებით, დემონებით და სულებით“ო, მართალია ისიც, რომ ამ გამოუცნობ დემონთა ქაოსში ადამიანი შიშით თრთის, სცდილობს კიდეც თავ-დაცვას, მაგრამ ცხოველური შიში კიდევ არ ნიშნავს ინტელექტუალურ ტანჯვას. უფრო მეტი პიროვნულ ძალის დამტკიცება ინდოეთში სჩანს, სადაც ასკეტები ღმერთებს ამარცხებენ. მაგრამ ბუდდიზმი მაინც უპიროვნობის რელიგიაა. რომ ელლინებმა არ იცოდნენ ინტელექტუალური ტანჯვა, ამას ჰომიროსიც დაამტკიცებს. მართალია, რელიგია დემონებს ამრავლებდა, მაგრამ პოეზია ამ პანდემონიუმს ნათელ ზეწარს აფარებდა. საშინელის და გამოუცნობის სიმძაფრეს ჰფარავდა სიცოცხლით ჭეშმარიტი დატკბობა. ბერძენი პოეტი სიმონიდე ამბობს: „მოკვდავთა კეთილშობილი საუნჯეა—სისაღე; მის შემდეგ—სილამაზე; მას მისდევს სიმდიდრე, კეთილი გზით ნაპოვარი; და შემდეგ კი ახალგაზდა მეგობრებთან დროს ტარება“. თვით დიოგენიც კი სიცოცხლით დატკბობისკენ მიდიოდა, მხოლოდ გზა ჰქონდა სხვა. ყველა ეძებდა გახარებულ სიცოცხლეს, სისაღეს, სინათლეს და მხიარულებას.

ჩემი დებულება ასეთია: ერის შემოქმედება განზრახულ დროს ეთანხმება მის საზოგადო სულიერ ცხოვრებას. შემოქმედებითი მოვლენათა გამოყოფა საერთო პსიქიურ ორბიტიდან შეუძლებელია. რელიგიური ფენომენოლოგია, ეჭვის და სასოების კონტრასტები, მისწრაფებათა მრავალმხრივობა, მერყევი ენტუზიაზმი, მოზარდი შეგნება, ესთეტიური თუ ჰუმანიური მიმართულება, ტეხნიკა და სხ. ყველა ეს კალეიდესკოპური მთლიანობაა, და შემოქმედებაც მათ გარეშე არ არსებობს.

ელლინური შემოქმედებაც ამ მთლიანობის დანაწურია ბუნებასთან ახლო დგომა, მთლიანობის გახარებული მიმღეობა, ჰუმანიზმი-პატრიოტიზმის და კოლექტივიზმის სახით ამართული, საერთო მზით დასიცხული და განათებული სამყაროს შეთვისება, ყველა ეს არის მოცემული ელლინურ შემოქმედებაში. იქნებ ამ საერთო ამღერებულ ცხოვრების შედეგი იყვეს, რომ მე-V! საუკუნემდე ბერძნებს პროზა არ ჰქონიათ, და ყოველგვარი აზრთა გადმოცემა პოეზიის საშუალებით ჰხდებოდა. სამხედრო ბრძანება, სამოქალაქო კანონები, ორაკულის აღმოთქმა გექსამეტრების და ელეგიის ფორმებს იღებდნენ. სოლონის კანონები სიმღერები არის მოცემული. ელლინი მღეროდა, და ეს სიმღერა ყველაზე მეტად ლესბოსმა სთქვა, ამ განცხრომის და სიზანტის ბუნდოვანმა კუნძულმა. ღვინო და მოქეიფეთა საზოგადოება—ეს იყო მათი ფანტაზიის შემკრებიც და მფანტავიც. მართალია ლესბოსის კუნძული არ უყვარდა იმ დროულ საბერძნეთს, როდესაც წმიდა გეტერა საფო ღვინით ანთებულ სუფრას დამღეროდა, ან და ალქეოსი და ანაკრეონი რომ გიჟდებოდნენ, მაგ-

და. ხელში ეჭირა მოსაკეცი დიდი ჩემოდანი, ჩემოდანზე დახატული ჰქონდა ცილინდრიანი დიდი კაცი, რო დაესახელებიათ, ორ ჭიქა არაყზე გაფრენილ ფრინველს დახატავდა.

ბევრჯერ ვხედავდი კაბაკში, არაყს სვამდა. ფიროსმანს ნახატებში ჰქონდა ძველი ქაშვეთის ეკლესიაში, მისი ნახატები მინახავს „ყარამან ქუჩუქი". ეკლესიაში ხშირად დაიარებოდა, ნამეტნავად ქაშვეთში.

**ვასილი არჩუაძე.**

# ლიტანია

შენი მუცელი გენიით გატენილი
თითონ გეენა და გიენა პოეტებისთვის.
ხარ ნატახტარი, ტახტებამდე ხარ ატანილი,
არწივის ჯიშო! გატეხილო მომეტებისთვის.

მე მინდა ვიყო იზრაელი, ლექსს დავექიდო,
მოვდრიკო მისი ძუძუები მოუდრეკელი.
შენი სიმსუქნე დაწველილი რიტმით დავჭედო,
დამლოცავს პოეტი მიქელ მოდრეკილი.

შენ დარწეული ჩემი გვარის ქაფიან სისხლში.
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
ჩვენი ძვალები ზედ გაყრია, როგორც მარილი
ღვთიშობლის კალთებს შენს ფაშვებზე ვხედავ მოტანილს...
სისქე ჯიქანი და ბარკალი გადამორილი.
ნასუქი ლეში გაგლეჯილი გიპოპოტამის.

. . . . .
ყველა გათავდა! ნაწლავები დაყრილი დანით.
მონგოლის კნუტი კაპასია... ჯალალ-ედ-დინი.
ლიტრიან რახტით ტამერლანმა დაგხვრიტა ტანი
მოსცურავ ეხლა, როგორც კუბო გადაჭედილი.

შენი თირკმელი ურაგანმა ქვიშას გარია.
ცა დასისხლული სოლანლუხზე გადმომდგარია...

**გიორგი ლეონიძე**

## ჩემი ბავშობა სოფელში

ღამემ ფიქრები მოკრიბა
დამჭკნარ ვარდებათ ნაფენი.
ჩემი სოფელი ოკრიბა,
ბავშობა მზეში ნარბენი.

ღრუბლებში მთვარე ახალი
ვირის ნალივით პატარა.
წვიმით მოვიდა მძახალი—
ნეტავი გამოადარა.

კვირას ქორწილით მთელ სოფელს
ახარებს ჩვენი კერია.
და ქალაბანი მეზობელს
რა კარგათ შეუკერია.

რძალს მოყვა ბევრი ამალა,—
ლებები დაულამბავი.
შემდეგ ცრემლებმა დამალა
ჩემი ბავშობის ამბავი.

**რაჟდენ გვეტაძე.**

## დარდი ვაგზლების.

ჩვენ შარაბანით მივქროდით გზაზე.
ვამბობდი: კვდება გული უდამოთ.
თქვენ ჩემს დღიურში ჩასწერეთ ასე:
მცივა! მშვიდობით, ო სამუდამოთ!

დამასაჩუქრე ტყის კავალერი
ლურჯ პეიზაჟით ცივი თვალების
ახლა მაწვალებს სივრცე ქალური
და შემოხვედრა ყრუ ვაგზალების

სად არის ფრთები, რომ ავცდე ბორკილს...
ქება ეროსებს, ღმერთებს ფრთიანებს.
რა ეშველება ამ „მაქსიმ გორკის"
ყველას მაშორებს და მაგვიანებს.

ვხედავ ციფერბლატს: საათის შვიდზე
ჩვენ მიგველოდება პატარა ხიდი.
გადავდებოდით გაფრენილ ხიდზე
და გვიტაცებდა შორს მაინ რიდი.

სასახლე ბაღი და ტყე შერევის.
დაღუპულ პრინცის მოჩვენებები.
თქვენ დედოფალი ორანჟერეჲის—
პანის ყვავილებს კრეფდით ვნებებით.

ზმანებაშია ეს ყველაფერი...
ახლა ვაგზლები მაწვალებს გრძელი
და მენატრება ჭლექით ნაფერი—
შეყვარებული ქალწულის ხელი!

აბასთუმანი-ქუთაისი
**შალვა კარმელი.**

## ფ ე რ ხ უ ლ ი.

ჩრდილნი ვართ შიშისა, თავ—ზარის შვილები,
მომწვანო სიმღერას ვცეკვავთ და ვმღერით,
დედა გვყავს ბებერი, გრძელი და ბრჭყალებით,
ულრანში დაგვბადა ხველებით ხმელით.

ბადე ვართ შვებისა, ჩვენ ელვის ნათლულნი,
დავძრწივართ სულ ყველგან, რომ ბედი ვცადოთ,
შავები, სიპები, უთვალოთ დართულნი,
შიში ტანს აგვიცრა ავსულმა ჯადომ.

ბოროტის ხევებში, კეთილის ველებზე,
ხავსიან ბსკერიდან მზის ალმა მხარემდე,
გვიყვარს ფორიაქი ცოდვის თუ სვენების
ჩვენთან ვერც ტირიან, ვერც გაიხარებენ.

სისხლი ჩვენ როდი გვაქვს, არცა ვართ ძვლიანი,
ძარღვებში ქარვისფრად გვიდგია შხამი,
კბილს ახრჭენს, მიმოდის, ყლაპავს დაიამებს
ტალახში ხარბად რომ მსხვერპლს ათრევს ღამით

პირველი კივილის კანკალი გვახარებს,
გვიყვარს უკანასკნელ ოხვრისა თვალები,
თავი და ბოლო, რომ ერიდება, ხარხარებს,
გარს შემოხვეული ალმასის ბრჭყალებით.

გვიყვარს მკვდარ თვალებში ჩაქრობა ნაპერწკლის
გვიყვარს გაშვერილი მთრთოლვარე ხელი
ვკისკისებთ და იგი სჩხვლეტავს და თან სწკეპლის
გვიყვარს ღვთის სახეზე გრიმასა ძველი.

**ნინა კოტეტიშვილი.**

# ქრონიკა

**გიოტეს რელიკვიები საფრანგეთში.**

ომის გამოცხადების წელს ფრანკფურტის ქალაქის ბიბლიოტეკამ ლიონის საერთაშორისო გამოფენას გადასცა ექსპონატის სახით გამოფენის დროს მთელი რიგი დოკუმენტების და იშვიათი წიგნები რომელნიც შეეხებოდენ გიოტეს ხსოვნას. ომის გამოცხადების შემდეგ ამ კოლექციას საფრანგეთის მთავრობამ კონფისკაცია გაუკეთა. ომის გათავების შემდეგ ფრანკფურტის ქალაქის თვითმართველობა სძრავს საკითხს, რომ საფრანგეთის მთავრობამ დაუბრუნოს მას უკან ეს კოლექცია. გერმანიის მთავრობაც დაეხმარა ამას დიპლომატიური ღონისძიებით, მაგრამ ყველა ცდამ რომ ეს რელიკვიები უკან დაბრუნებულიყო ამაოდ ჩაიარა და ეს რელიკვიები დღეს აუქციონიდან იყიდება საფრანგეთში. გერმანიის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ წრეებში ეს ამბავი დიდ გამწვავებას იწვევს, მაგრამ როგორც ეტყობა გიოტეს რელიკვიები მაინც საფრანგეთში დარჩება.

**ვილჰელმის მემუარები.**

ექს-იმპერატორმა ვილჰელმა გამოაქვეყნა თავის მემუარები, მემუარები გერმანიაში აკრძალულია და ის შეიძინა ერთმა ამერიკულმა ფირმამ და გადაუხადა ჰონორარი ვილჰელმს 1,250,000 დოლარი. მემუარებში იმპერატორი აზრით, მას მხოლოდ ერთს ესმოდა საქმის ნამდვილი ვითარება, მაგრამ ის ტყვეთ ჰყავდათ კანცლერებს, როგორც ბიულოვს და გოლვეგს. მემუარებში არის სხვათაშორის ახალი დახასიეთება მოხუცებული ბისმარკის ეს უკანასკნელი დიდ სენსაციას იწვევს უცხოეთში...

**ლატვიას ნაციონალიზმი.**

რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ლატვიაში არ გაუშვეს ამასწინათ რუსეთის პატარა სახელმწიფოს თეატრის დასი და აგრეთვე არც სამხატვრო თეატრის სტუდია და დასის ნაწილი. ლატვიის პრესსა აღნიშნავს, რომ მხოლოდ უკიდურესს შემთხვევაში შეუშვებენ ლატვიაში რუსის არტისტს თუ ის განსაკუთრებით ცნობილი იქნება, როგორც შალიაპინი ან სობინოვი.

**ზანგი რომანისტი რენე-მორანი**

წელს საფრანგთში გონკურის პრემია მიიღო ზანგმა რომანისტმა რენე მორანმა, რომელმაც დასწერა რომანი: „ბატუალა" რომანი აღებულია ზანგების ცხოვრებიდან და აწერილია ტროპიკული ბუნება. რომანი განსხვავდება თანამედროვე ფრანგულ რომანიდან იმით, რომ უშუალოთ აწერილია პირველ ყოფილი და ძლიერი ცხოვრება ზანგების. ბატუალა არის მეთაური ზანგების ერთ ტომის. ის იღუპება აფთარიან ბრძოლის დროს, სიკვდილის წინ, როცა მას გამოლადრული აქვს მუცელი ის უყურებს, რომ იმის ახლოს მისი ცოლი საყვარელთან ეძლევა პირუტყვის ალტაჯებას. ფრანგული პრესსა ანიშნავს, რომ ჯერ არავის გადმოუცია ევროპაში ტროპიკული წვიმა, ქარიშხალი როგორც მორანს: რენე მორანი კულტურით ფრანგია, მაგრამ წინასიტყვაობაში გამოთქვამს სიძულვილს ევროპის კულტურისადმი.

**არტურ ლეისტის იუბილე.**

კვირას 22 ოქტომბერს სახელმწიფო კონსერვატორიაში შესდგება არტურ ლეისტის იუბილე, მთავარმა კომიტეტმა და საიუბილეო კომიტეტმა დაადგინეს ამ დღისთვის მოხსენების წაკითხვა დაავალონ: ქართული სცენის დამსახურებულ არტისტს ვალერიან გუნიას და სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს შალვა ნუცუბიძეს.

**ნიკოლო მიწიშვილი.**

პარიზის გაზეთ „Последния Новости-ში დაბეჭდილია ნიკოლო მიწიშვილის წერილები თ. დოსტოევსკის აღმოჩენილ ხელნაწერებზე ტფილისში. იმავე გაზეთში დაბეჭდილია რეცენზია მიწიშვილის შედგენილ წიგნზე: Поэты Грузии.

**კ. ბალმონტი.**

პარიზში პოეტმა კ. ბალმონტმა გამოუშვა წიგნი: „რევოლიუციონური სიმღერები ევროპის და ამერიკის" წიგნში მოთავსებულია უიტმანის ახალი თარგმანიც.

## თეატრი და ხელოვნება

**სურამის ციხე.**

შაბათს ოქტომბრის 7 რუსთაველის თეატრში შესდგა გენერალური რეპეტიცია „სურამის ციხის" კინო-ლენტის, რომელიც დაუმზადებია სახალხო განათლების კომისარიატის კინო-სექციას. როგორც გადმოგვცემენ ამ სირათზე თურმე კინო-სექცია მუშაობდა 8 თვეზე მეტს, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ დროს და აგრეთვე გაწეულ აურებელ ხარჯებს, უნდა ითქვას, რომ იმედი არ არის გამართლებული, და შეიძლება დასახელებულ იქნას ბევრი დეფექტი, რომელის თავიდან აშორება ადვილი იყო. ჯერ უნდა აღინიშნოს, რომ სურათს ეტყობა უხეში ტენდენცია, ეს გზა უკვე მოგონებათ გახდა თვითონ რუსეთშიაც, მხოლოდ მისი ეპიგონები საქართველოში იჩენენ პროზელიტობას.

ამის გარდა მხატვრულ მხარეს ძალიან ვნებს ისიც, რომ აქ საქართველო გამოყვანილია ეტნოგრაფიულ ელემენტებით. პირდაპირ სამარცხვინო გახდა ქართულ ხელოვნებისთვის რომ არ შეიძლება არც ერთი წარმოდგენის ან საღამოს გამართვა, რომ უთუოდ არ იყოს გამოყვანილი ლეკური, მრავალ ჟამიერი, ზურნა და სხვა ეტნოგრაფიული ატრიბუტები.

ამ სურათში ხომ მომაბეზრებელია ასეთი შემავალი ელემენტები-გათავებული უზუნდარით.

ამის გარდა ასანიშნავია ის დეფექტიც რომ სურათში გამოყვანილია თითქმის მთელი ქალაქის სამღვდელოება. ეს სურათი იმის გარდა, რომ შეურაცჰყოფას აყენებს ზოგიერთ მორწმუნეს სურათს არაფერს არ მატებს, (საინტერესოა თვითონ სამღვდელოებამ რატომ ვერ გაიგო ეს).

როგორც გადმოგვცემენ ეს სურათი ამოღებული იქნება ლეგენდიდან. რასაკვირველია შეიძლებოდა უკეთესი სურათის დიდგმა რომ კინო სექციას უცხოელები არ მეთაურობდენ და ქართულ ხელოვნებასთან რაიმე დამოკიდებულება მაინც ჰქონდეთ. სურათში შესანიშნავი იყვენ ქ-ნები: ალისა ქიქოძე და თამარ ნადირაძე, არა უშავდა მ. ჭიაურელსაც. ყოველ შემთხვევაში ისიც კარგია, რომ ასეთი საქმე დაწყებულა იმედია სახალხო კომისარიატი უფრო შეარჩევს პირებს კინო სექციისთვის, უფრო დაუხლოვდება ქართუ ხელოვნების საფუძველს და მაშინ ამ აპარატის გამოყენება შეიძლება მხატვრულად.

---

რამ სიძულვილის მიზეზი ლირიკა იყო, პირვენლ განცდათა წამოყენება. საერთო ხასიათით კი ლესბოსიც საბერძნეთის დამღით არსებობს. ნათელი წარმოდგენა, სიცოცხლეს უკანასკნელ შესაძლებლობამდე დაწურვა, ჰარმონიული მთლიანობა კაცისა კაცთა შორის, და ყველასი ბუნებასთან—ეს იყო ელლადის სულიერი წრე. ბერძნული პოეზია, ქანდაკება, მხატვრობა, რელიგია და პოლიტიკაც კი შეგვიძლიან გამოვიწვიოთ ამ დებულების ცხად-საყოფად. პოეზია გმირული ეპოსი იყო ჯერ, რასაც ხალხი ითხოვდა, შემდეგ კომედია და ტრაღედია, როგორ ხალხს სურდა, და ყველგან, ტრაღედიაშიც კი იმედიანი კატასტროფა. ბუნება, სულის უკვდავება და სხ.. ეს აცოცხლებდა ბერძენის არსებას. ქანდაკება სხეულის ანუ ბუნების კულტი იყო, და ისიც ფრიად ოპტიმისტური. მარმარილოს საკვეთი მხოლოდ საუკეთესო ხაზების გამოკვეთაში იყო დახელოვნებული. თემა კი ან ღმერთები განკაცებულები, როგორც: ათენა ლემნია, დიონისე ანუ ჰერაკლე, დემეტრა და კორა, აპოლლო კაჲარედი, ჰერმესი, ვენერა, აფროდიტე, აპოლო, ჰერაკლე, ატლასი, ნიმვა, ზევესი, ჰერა და სხ... ან და კაცები გაღმერთებულნი: პერიკლე, არქიდამი, ევრიპიდე, პლატონი, მენანდრი, სოფოკლე, ალექსანდრე დიდი, ეზოპოსი და სხ... ქანდაკება მეტწილად შიშველი, რაც ბუნებრივობას ამტკიცებს· ტანისამოსი—ეს ადამიანის პროტესტანტობის პირველი დოკუმენტია. მხატვრობა: არვონავტების გამგზავრება, ორთეოსი, იფიგენიას მსხვერპლად მიტანა, ჰერაკლეს ბრძოლა გერიონეისთან, ბახუსის დღეობა, პელეასა და ფეტიდის ქორწილი, ოდისეი და აქილესი და სხ... აქაც ბუნებასთან სიახლოვე, გადმონაცემის დიადობა და ხილულთან შეტოქებული სიმართლე ხატის. ამისთვის ტიპიურნი არიან ზევკხისი და პარაზიუს, რომელთ ფიგურათა სისწორე ნატურასთან ანეკდოტისებურ ამბავად იქცა.

გარეგნული სიმართლე, ფორმაში ბუნების ცოცხლად გადმოტანა—ეს არქიტექტურასაც კი დაეტყო. ბერძნულ ტაძრების სილამაზე მისი გარეგან არქიტექტურაში გამოიხატებოდა. და ეს გარეგნობით გატაცება, ბუნების წინაშე მოკრძალება და გაოცება მთელი მსოფლმხედველობის სახით გადაეფარა ელლადას. ჭეშმარიტება ჩვენს გარეშეა ბუნებაში. ძალა ჩვენს გარეშეა. ყველაფრის გარეშე იყო ადამიანი გამოცხადებული, რაღაც გარდაუვალობას დაემორჩილა იგი. გონების სფეროს სოფისელები შეეჭრნენ, რომელთაც ველარ შესძლეს დამონებულ მამათა კუზების ცქერა. მათი გათამამებული შეცვივნა მზის გულზე შეკრებილ ელლინურ საზოგადოებაში უეჭველად ისტორიული აქტია. მათი სიტყვა ახალი იყო. მათი პათი სი გეოლოგიურ ძალას აღემატებოდა. ძვრა მოახდინეს სულის.—ყველაფერის საზომი ადამიანია.—ეს გამოაცხადეს. ილიადასა, სოფოკლეს ტრაღედიების ნაანდერძევი ველარ აკმაყოფილებდა წინ წასულ სურვილებს. მხოლოდ წმიდა გარდმოცემის ხელ-შეუხლებლობა იფარავდა ძველ ნორმებს. ამ გადმოცემის წინააღმდეგობა ღმერთების შურის-ძიებას ჩააბარეს. სოფისტები პირის-პირ დაუხვდნენ ამ შურის ძიებას. ძველი საუნჯეები სასაცილოდ აიგდეს. ჭეშმარიტებანი, საზოგადოებრივ აზრს რომ ებარა, გააშიშვლეს სიცალიერემდე. სოფისტების მედუზას ვერ გაუძლო ოლიმპმა. მაგრამ სოფისტების რევოლჲუციონერობა სატურნალიად იქცა. საჭირო კი იყო დიდი ტრაგედია, რადგან შეგნება უტანჯველად ვერ იმარჯვებს. სოკრატე იყო ეს განწირული.

იგი შხამივით შეეჭრა ელლინურ ქვეყანას და იქ დამკვიდრებული ჰარმონია დაშალა. სოფისტები ეს სწორედ „ბრწყინვალე ქირონდა, სოკრატე მონტანიარს" (ჰერცენი) გზად ჩამოეცალნენ პროტაგორასის დამცინავ მასკას სოკრატეს დიდი შუბლი ეფარება. ეს ამაყი წინწადგომა სოკრატესი განსაზღვრას ნიშნავს. მის უკან დარჩა წმინდა ელლენური მიწა, აქეთ კი ახალი პერსპექტივა გადაიშალა. მან აღმოაჩინა არანივთერი ქვეყანა. სულის მზერა (ბერძნულად?) შიგნით მიაპყრო. ქვეყნური ადამიანი, აიწა უკმარად აღიარა, და ორი ქვეყნის ანტაგონიზმი ფეხზე დააყენა. მანამდე კაცობრიობა დაკეტილი იყო საკუთარ საზღვრებში, მას აქეთ კი მაღლისკენ გაიხედა. დემონს მიანდო ხელმძღვანელობა. იგი იყო მისი ღვთიური დასაბამი.

ისე რომ სოკრატეს სწავლა ელლინიზმის სულიერ დეკადანსად უნდა ჩაითვალოს, და იმავე დროს ადამიანურის რენესანსად. სოკრატეს რომ ციკუტა მიაწოდეს, ეს იყო ინსტიქტიური რეაქცია განწირულ ელლეინიზმისა ახალ კულტურულ ძალის წინააღმდეგ. და რა საბრალოდ გამოიყურება სატირიკოსი არისტოფანე თავის „ღრუბლებიდან", როდესაც სოკრატეს რეზონიორობას ასწერს, და პიროვნების ემანსიპაციას დაღუპვად აცხადებს. გამოცემაა, რომ „ღრუბლების" წარმოდგენის დროს, სოკრატე დაცინვით წარმომდგარა, რომ ბრბოსთვის ეჩვენებინა მასკის მსგავსება თავის თავთან. ათინის დამარცხება ამაზე მეტად აღარ შეიძლებოდა. დამარცხების შემდეგი ეტაპი დაღუპვა მხოლოდ.

მართალია, პლატონი უნივერსალიზმის ქორეგოსად გამოვიდა, რაც სოკრატეს ინდივიდუალიზმის წინააღმდეგჰნიშნავდა, მაგრამ დიდმა მოწაფემ მაინც ვერ შეაბრუნა დიდი მასწავლებლის ტეზისი. პირიქით, ერთგვარი სამაგიერო გადაუხადა არისტოტელემ, ინდივილუალიზმის ხსნა არ სჭირდებოდა. ისტორიის ახალი ფაზისი იყო ეს, და ძველი ქვეყნის განწირვას ველარაფერი შეაჩერებდა. ფიზიკური ბუნებიდან თავდაღწეული შეგნება უკან ველარ დაბრუნდებოდა. მით უმეტეს, რომ ხელოვნებამ უკვე მოასწრო ამ ახალი ქვეყნის დაპატრონება.

**ვახტანგ კოტეტიშვილი.**

რედაქტორი: **გიორგი ლეონიძე.**

# ს. მ. უ. ს.
## ცენტრალური სავაჭრო სამართველო
**უნივერსალური მაღაზ-ები № 1 და 3**

1) სომხის ბაზარი (ქარვასლა ყოფ. მანთაშევი) 3) სასახლის, 8 (ყოფ. ალშვანგის)

### შემოდგომის სეზონისთვის

მიღებულია საქონელი ბათომით და გამოვიდა გასაყიდათ

### შალის ქოვილი

შევიოტი ყველა ფერების დრაპი ვაჟების და ქალების პალტოებისთვის შალის მატერიები ვაჟთა და ქალთა კოსტიუმ. კუპონები მამაკაცთა კოსტიუმ.

### აბრეშუმი:

აბრეშუმების კრეპონი „დიუშესი“ და სხვ.

### ტრიკოტაჟი:

ჟაკეტები „პაულა,“ აბრეშუმის, საზამთრო ყველა ფერების „ „ მსუბუქი„ „ „ შალის, ბავშვების და ქალების სვევსტები შალის, ქალთათვის, ბავშვების, ვაჟების ჩულქები აბრეშუმის, ფილდიკოსის-ყველა ზომის და ფერების-ქალთათვის და ბავშვებისთვის. ნასკები მამაკაცისთვის, ფილდიკოსის ყველა ზომის.

### დიდი არჩევანი:

### ქაღალდის ქსოვილები

ბატისტი ჩითი, რენო ბუმაზეია. გრისბონი ფლანელი, მადეპალამი, შოტლანკა სატინი,

### შეკერილი საცვლები მამაკაცისთვის

### ჭურჭელი

სამზარეულო, მინანქარით სასადილო ყოველგვარი შუშეულობა

### გალანტერეია, პარფიუმერია (საზღვარგარეთის.) შეკერილი ტანისამოსი

მამაკაცების შალის კოსტიუმი ტყავის კოსტიუმების კომპლეკტი პალტოები ქალების და მამაკაცების:

### შეკერილი ფეხსაცმელები ქალთათვის

მამაკაცისათვის **საკუთარი სახელოსნოში მიიღება შეკვეთა ყოველგვარ ფეხსაცმელზე**

**მაღაზია № 2** ქარავან-სარაი ტამამშევისა

კონიაკები და არაყი სარაჯევისა „არგო“

**თუთუნი** საბჭოთა ყველა ქარხნების.

**პაპიროსები** სოლიდნი, საბჭოთა, ეგიპეტსკი, დელიკატეს, საფო, არისტოკრატიული და სხვ.

მიღებულია ახალი საბჭოთა პაპიროსები ფასები ზომიერია.

პროფკავშირის წევრებისთვის 10 პროც. დაკლებით.

---

## სეზონი 1922—23 წ.
### სახელმწიფო აკადემიური თეატრი
# ოპერა
## დასის შემადგენლობა (ანბანზე)

**ქალები**

**სოპრანო**

ბოკოვა ტ. ვ.
ლამბაშიძე ს. გ.
ექსანიშვილი მ. ა.
კალანდაძე ო. ს.
მაზოვეცკაია ნ. ვ.
პეტლიაშ ე. დ.
პოპოვა ე. მ.
სტაროსტინა ე. ნ.
სპრიშევსკაია დ. ტ.

**მეცო სოპრანო**

ბორონკინა ე. ვ.
ერმოლინსკაია ა.
მუხტაროვა ფ. ს.
სტრიჟენოვა ნ. გ.
იანსა მ.

**კაცები**

**ტენორები**

აგრანოვსკი დ. ს.
იგონინი ვ. მ.
კიპორენკო ი. ს.
კავსაძე ვ. ლ.
კურბატოვი ა.
ლევიცკი ა. ტ.
სარაჯიშვილი ი. პ.

**ბარიტონები**

გარელოვი ი. პ.
ინაშვილი ა. ი.
კრიჟნოვსკი ი. ვ.
ქარცივაძე გ. ს.
თუმანიშვილი დ.

**ბანები**

დემიანენკო ა.
ისეცკი ლ. ნ.
საბინინი იუ. დ.
შარაშიძე ვ. ი

**მე-2-რე როლები:** დობჟანსკაია ვ. მ., ნეიმანი ბ., თუმანიშვილი, ბლაგობრაზოვი, იმერლიშვილი, ქურხული, გუდიმ-ლევკოვიჩი.
**დირიჟორები:** მთავარი ფალიაშვილი ვანო, ბრონშო, მ., ფალიაშვილი პ. პ.,
**რეჟისორი:** მთავარი ბოგოლიუბოვი ნ., გურეს ა. ა., (თანაშემწე) ვალენტინოვი მ.
**კონცერტმეისტრები:** საბინ-გუს, სოკოლოვი, მელიქ-ფაშაევი, ფალიაშვილი ჟანნა.
**ხორმეისტრები:** ბელსკი პ. ა. (მხატვრები:) ნოვაკ ი., კარსლიანი ი., ერისთავი.
**ბალეტის შემადგენლობა:** (ბალეტმეისტერი) მიხ. მოისეევი (პრიმა-ბალერინები:) ლეონოვა მ. ი., და სალნიკოვა კ. ი.

**ორკესტრი 42 არტ.** **ხორო 45 არტ.**

**სეზონი გაიხსნება კვირას 15 ოქტომბერს „აბესალომ და ეთერი“**

---

## ცენტროტრამოტა ს. მ. უ. ს.

**საქართველოს ს. ს. რ.**

ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ დღესასწაულის გამო მცხეთის სობოროში 14 ოქტომბერს, 13 ოქტომბერის 4 საათიდან- დაიწყებენ ავტომობილები სვლას მგზავრების და ბარგების გადასაზიდათ ტფილისიდგან მცხეთაში და უკან.

ავტომობილები გავლენ ერევნის მოედნიდან, ზემელის აფთიაქთან გაჩერებით. ფასი მგზავრის წასაყვანათ 100.000 მანეთი ერთხელ ავტომობილები იქნებიან აგრეთვე სად. მცხეთიდან სობორომდე და უკან. ფასი ერთ სულზე 50.000 მ.

**ტ. ც. მე. ექსპლოატაც. განყოფილება.**

---

# შინაგან საქმეთა კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ ზედამხედველობის წესით საჩივართა განსახილველთ, რომელნიც ეხებიან დარღვევას დეკრეტებისას და ინსტრუქციებისას ადგილობრივ ბეგარისას და აგრეთვე მოწაწესრიგებლად ადგილობრივ კომუნალურ საბეგრო კომისიების მოქმედებისა შ. ს. ს. კ. კომუნალურ განყოფილებასთან საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის თანახმად ა.წ. 10 ივლისიდან № 37 დაარსებულია ცენტრალური თათბირი. „ხალხის გადამხდელნი, რომელნიც არ არიან კმაყოფილი ადგილობრივ საბეგრო კომისიის დადგენილებით ბეგარის რაოდენობით უფლება აქვთ შეიტანონ საჩივარი სათათბიროში შ. ს. ს. კომისარიატთან არსებულ საბეგრო სათათბიროში, ადგილობრივ საბეგრო კომისიის საშუალებით.

შ. ს. ს. კ. საქმეთა გამგე **დ. ჩიქოვანი.**
კომუნ. განყოფილ. **ნანეიშვილი**
მდივანი **ი. იაშვილი.**

---

## ცენტრამოტ. ს. მ. ს. უ.

**საქართველოს ს. ს. რ.**

ამით აუწყებს მოქალაქეებს, რომ დოლის დღეებში დღის 2 საათიდან გათავებამდე

**ივლიან ავტომობილები.**

რომელნიც გავლენ ერევნის მოედნიდან **იპოდრომზე** ვერის დაღმართთან და კირკის კუთხესთან და პლეხანოვის პრ. გაჩერებით მგზავრების გადასაყვანათ

**ფასი თვითეულ მგზავრზე 30.000 მანეთი**

ც. ტ. მ. ო. ექპლ. განყოფილება

---

### ქალაქის აღმასკომის საადგილ-მამულო
# განყოფილება
## აცხადებს

ყველა დაინტერესებულ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ის ბაღ-ბოსტნები, რომელთაც საიჯარო გადასახადი შემოტანილი არ ექნება საადგილ-მამულო განყოფილებაში (ოთახი № 52) ა. წ. 15 ოქტომბრამდე ჩამოერთმევათ დღევანდელ მათ მფლობელთ და გადაეცემა სხვაზე იჯარით.

---

# ნიხრი

ბარგის გადაზიდვისა ქალაქ ტფილისის და საგურ ნავთლუღის საზღვრებში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ნავთლუღის გარემო რაიონი არამიანცამდე | 6.000 | ფუთზე |
| 2. | კახეთის მოედანი | 8.000 | „ „ |
| 3. | ორთაჭალა გაკეთებულ ხიდამდე | 12.000 | „ „ |
| 4. | მოედანი | 10.000 | „ „ |
| 5. | სალდათის ბაზარი და ერევნის მოედანი | 12.000 | „ „ |
| 6. | რიყე | 12.000 | „ „ |
| 7. | ვორონცოვის ხიდი | 15.000 | „ „ |
| 8. | ოლღის, წყნეთის და რუსთაველის | 15.000 | „ „ |
| 9. | საბურთალო, ვაკე | 20.000 | „ „ |

**შენიშვნა:** ღვინის, კარაქი და სხვა ამნაირი პროდუქტი 2.000 მ. ყოველ ფუთზე საშინაო ნივთები, ცარიელი ბოჭკები, მსუბუქი ზომის და მძიმე ბარგები შეთანხმებით ან რეისიდან

ს. მ. უ. ს. თავმჯ.მოადგილე **ს. ავაქოვი**
კოლეგიის თავმჯ. ც. ტ. მ. ო. **გ. ფიცხელაური**
ექპლ. გამგის მოამდ. **ვ. სოლოღაშვილი.**

---

### ამიერ კავკასიის რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მოგზაურობა სამგზავრო და საქონლო მატარებლებით დაწესებულ ბილეთების და სხვა სამგზავრო დოკუმენტების უქონლად სასტიკად აღკრძალულია. ის პირნი, რომელნიც შენიშნული იქნებიან სამგზავრო დოკუმენტების უქონლად მგზავრობაში, დაჯარიმებული იქნებიან. ჯარიმის გადახდის დროს მგზავრებმა აუცილებლად უნდა მოსთხოვონ გზის აგენტებს, რომელნიც საჯარიმო ფულს იღებენ, შესაფერი კვიტანცია.

აღრძალულია მოგზაურობა სასაქონლო მატარებლებით. ის პირნი, რომელნიც შენიშნულ იქნებიან სასაქონლო მატარებლებში, განდევნილ იქნებიან იქიდან პირველ ახლობელ სადგურზე და მათ გადახდებათ ჯარიმა როგორც უბილეთო მგზავრებს. თუ მათ ფული არ აღმოაჩნდებათ, ისინი დაკავებულნი იქნებიან და გაწვეულნი იძიულებითი, სამუშაოზე. თუ მათ ექნებათ თან ბარგი, სულ ერთია' რისგანაც იგი არ შესდგებოდეს, ეს ბარგი მათ ჩამოერთმევათ, საჯაროთ გაიყიდება და აღებული ფული ჯარიმის ანგარიშში ჩაირიცხება.

---

# ნიხრი

**სად. ტფილისიდან ქალაქის ფაგლებში ტვირთების გადასაზიდვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | საბარგო სადგურიდან დიდუბის, დეზერტირის ბაზრის და ვაგზლის რაიონი | 6.000 | მ. ფ. |
| 2. | კირკის ქუჩაზე | 6.000 | „ |
| 3. | ვორონცოვის ხიდი | 8.000 | „ |
| 4. | რიყე და სალდათის ბაზარი | 9.000 | „ |
| 5. | თათრის მოედანი და ერევნის მოედანი | 10.000 | „ |
| 6. | ორთაჭალა | 18.000 | „ |
| 7. | ოლღას, წყნეთის და რუსთაველის ქ. | 10.000 | „ |
| 8. | მთაწმინდის (კომპ. ც. კ. ზემო რაიონ) | 12,000 | „ |
| 9. | საბურთლო, ვაკე, ნავთლუღი | 13,000 | „ |
| 10. | ავლაბარი არამიანცის საავადმყოფო | 13,000 | „ |
| 11. | ნაძალადევი ქვემო | 9,000 | „ |
| 12. | „ ზემო | 10,000 | „ |

**შენიშვნა:** ღვინო, ზეთი და სხვა სითხეები 2000 მანეთით მეტი ფუთზე შინაური ნივთები, ცალიერი ბოჩკები, მჩატე და მძიმე ტვირთები შეთანხმებით.

სახალხო მეურნეობის უმაღ. საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ავაკოვი**
ცენტრ. სატრ. განყოფ. კოლეგიის თავმჯდომარე **გ. ფიცხელაური**
საექსპლოატაციო განყოფილების გამგე **სოლოღაშვილი.**

ნება დართ. სამხ. ცენზ. 3000. სამხედრო საზღვაო კომისარიატის სტამბა